განკარგულება:**g-49. 49253326**
თარიღი:**28/11/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში (ვარციხჭესების დასახლება) მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკ.კოდი N29.14.33.145 სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 12 ნოემბრის №48/482531664 წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 27 ოქტომბრის N15/56817 წერილი, რომელშიც სააგენტო ითხოვს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ.კოდი N29.14.33.145) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციას, შემდგომში მისი, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' კაპიტალში შეტანის მიზნით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 108-ე მუხლის შესაბამისად:

1. უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში (ვარციხჭესების დასახლება) მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საკ.კოდი N29.14.33.145 შემდგომში მისი, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' კაპიტალში შეტანის მიზნით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი